# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 347. კვირა, 11 სექტემბერი 1905 წ. გაზეთის № 2906


* * *

შედედებული ჰაერი.

ყომრალი გარემო.

თითქოს ნისლია ირგვლივ.

მზე არსიდანა სჩანს, მხოლოდ რაღაც მურუქლი სინათლე გადაკვრია არე-მარეს.

აქ მარტო ხელებსა ვხედავ.

სულ სხვა-და-სხვა ზომისა, სხვა-და-სხვა ნაქნარობისა.

ზოგი მსხვილია და სქელი, როგორათაც მუხის დიდი ნაფოტი; ზოგი გამხდარია და გაწიკწიკებული, როგორც ლარიბ კერასთან მიგდებული ზამთრის შემხმარი ფიჩხი. ზოგი ჩამოსხმულია თაფლის სანთელივით; ზოგიც გამოქანდაკებულია, ვით მარმარილო. აქ პაწია ბავშვის თითსაც ვხედავ, უაზროთ გაშვერილა—რა უნდა ამ უმანკო თითებს? აქვე გამოსჩანს მუშის დაბებრებული, დაოსებული, ნიჩბის მაგვარი ხელის გული.

დავინახე **მისი** თითებიც.

ეგ საამურ სიმებს უნდა აჟღერებდეს. თვით მის ბროლივით ასხმულობისაგან უნდა გამოდიოდეს სანეტარო ბგერა...

აქ კი ყველა ეს ხელები, ეს თითები თრთიან და ძიგძიგებენ; იკუმშებიან და იშლებიან; იკუნჩხებიან და იმართებიან; იმუქრებიან და სანეტაროთ თვისკენ გვიწვევენ.

ჰაერი სავსეა ხელებით, მოცულია თითებით.

რა სხვა-და-სხვა ნაირობაა? რა სხვა-და-სხვა გვარი ბეჭედი აღზრდისა და ცხოვრებისა, ცოდნისა და შეგნებისა, კმაყოფილებისა და უკმაყოფილებისა, სიღარიბისა და სიმდიდრისა!!

ყოველივე ეს თითებს ატყვია.

ატყვია მათ შენახულობას, მათ გარჯილობას, მათ უზრუნველობას, მათ მოღლილობას.

სულ სხვა-და-სხვაა მათი იერი, მათი სინაქნარე.

მხოლოდ ერთია მათი მიმართულება.

ყველა ერთი მიზნისკენ გაშვერილა.

ჰოი ღმერთებო!

ამ. მურუქლში მოსჩანს ეგ მიზანი.

სადაც ცის ტატნობზე მოსჩანს ოქროს კიდობანი.

თითები იმტვრევიან, თითები უძლურდებიან, თითები იხრწნებიან.

ოქროს კიდობანი კი ცის ტატნობზე ისევ ელვარებს.

**შალვა დადიანი**

# პატარა მოხელეები

ვ. დოროშევიჩისა.*)

ერთად-ერთი საგანი, რომელსაც გულმოდგინედ ეკიდებიან მოსწავლენი—რუსული ენაა. ყველა განვითარებულ გიმნაზიელს თავისს მოვალეობად მიაჩნია მისი შესწავლა. უამისოდ განვითარებულ გიმნაზიელის სახელს ვერ მოიპოვებ ამხანაგებში.

მაგრამ ინტერესი ამ საგნისადმი ჰქრება, როდესაც საქმე ყველაზე უფრო საინტერესო განყოფილებაზედ „სიტყვიერებაზედ“ მივა ხოლმე. გაგაზეპირებინებენ რა დერჟავინის რამდენსამე ოდას, შემდეგ გაკვრით გეუბნებიან.

— მის შემდეგ იყო პუშკინი, ლერმონტოვი!

გისვამენ ჟურნალში უშველებელს ერთიანს, თუ არ შეგიძლიანთ გარჩევა „Слово о полку Игоревѣ“-სა; ამ თხზულებას კი ბ-ნი ბარსოვი აგერ სამ-ოცდა შვიდი წელიწდია არჩევს, უკვე თორმეტი ტომი დასწერა მის შესახებ და ჯერაც პირველ წინადადების გარჩევა ვერ გაუთავებია.

დიახ, აი ამ ძლევა მოსილს „იგორის პოლკის“ წყალობით, იდევნებიან ლერმონტოვი, პუშკინი, ტურგენევი, დოსტოევსკი... ასეთი საინტერესო და საყურადღებო ხანა გამორიცხულია სიტყვიერებიდან.

საშუალო სასწავლებელი გვასწავლის ბავშობიდანვე ისეთის საქმის ხელის მოკიდებას, რომელიც ჩვენს სურვილსა და ნატვრას არ შეადგენს და რომლისადმიც არაფერი ლტოლვილება-მისწრაფება არა გვაქვს.

აი, ამაშია სწორედ დიდი აღმზდელობითი მნიშვნელობა ჩვენის სასწავლებლებისა, თანახმად თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებისა.

რა არის თანამედროვე რუსეთი?

კრებული უკმაყოფილო ხალხისა, რომლის ყოველივე წევრი მომდურალია იმ საქმისა, რომელზედაც იგია მიჩენილი.

გინახავთ რუსეთში თავისის სამსახურით კმაყოფილი ადამიანი? ავიღოთ მოხელე... სახეში არა მყავან დიდრონი მსხვილი მოხელეები, რომელნიც არწივსავით თავისუფლად და წარბშეუხრელად დაპარპაშობენ და ცა ქუდად არ მიაჩნიათ, ხოლო დედამიწა ქალამნად. არა, მე სახეში მყავს ჩვეულებრივი შუათანა მოხელე, რომელიც ყოველდღიურ შრომაშია გართული. შეუძლიან განა ამისთანა მოხელეს, ჩვეულებრივ ფარსში მომქმედ პირად გამოყვანილს, გულზედ ხელის დადებითა სთქვას:

„ოხ, რა მშვენიერებაა მოხელედ ყოფნა?“

მთელი თეატრი სიცილს მიაყრის და ეტყვის:

—„თქვენი სიტყვები, ბატონო, სიმართლეს არ ეთანხმება!

— მოხელე? მოხელე განსხვავდება უბრალო მომაკვდავისაგან მარტო ერთის თვისებით. ყოველივე კაცის მუცლის ძღომა დამოკიდებულია მასზედვე, მოხელისა კი ბოლოლა უფროსის მუცლის ძღომაზედ. თუ უფროსი უძღომელია, პატარა მოხელეები სიმშილს ითმენენ.

ჯამაგირის რაოდენობაც პატარა მოხელისა სათქმელადაც არ ღირს, რის ვაი-ვაგლახით ითქვამს სულს...

მაგრამ, ახლა ვსთქვათ, რას ვაკეთებთ ჩვენ კანცელარიებში?

რას ვაკეთებთ? ჩვენ რაღაცას ვიღაცასა ვსწერთ და იქიდან ერთი და იგივე პასუხი მოგვდის, მაგ საქმის შესახებ შუამდგომლობის აღძვრა შეუძლებელიაო, ან კიდევ თქვენი საქმე უყურადღებოდ იქმნა დატოვებულიო.

მორჩა და გათავდა.

სანთლითაც რომ ეძებოთ, ვერ იპოვით ისეთს განვითარებულს მოხელეს, რომელსაც სწამდეს შემოქმედებითი ძალა „კანცელიარიზმისა“.

ავიღოთ გინდა თავისუფალ პროფესიის მიმდევარნი, მაგალითად, ვექილები. ისინი მუდამ სასოწარკვეთილებაში არიან თავიანთ ხელობისაგან.

*) იხ. „დამატება“, № 346.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ლომების განცხრომა.** — სურათი ეილემბერგისა.

— რა უნდა ჰქნას კაცმა, ამბობენ ისინი, ჩვენ მხოლოდ მაშინ გვატყობინებენ საქმის გარემოებას, როცა ყოველივე გათავებულია, ჩვენების ჩამორთმევას არ ვესწრებით და აბა რაღა უნდა გავარიგოთ. ჩვენ იმ ექიმსა ვგევართ, რომელსაც მაშინ ეძახიან ავადმყოფთან, როცა ამ უკანასკნელს ერთი ფეხი სამარეში უდგას. აბა რაღა უნდა ვუშველოთ მაშინ საქმეს, რიღას მაქნისნი ვირთ! ტანჯვაა ჩვენი ხელობა, სხვა არაფერი!

მწერალთაგანაც მარტო ერთმა შჩედრინმა უანდერძა თავისს შვილს:

„არა არის რა უმაღლესი და უპატიოსნესი რუსეთის მწერლის სახელის დამსახურებისათ“.

მწერალთა უმრავლესობა კი დღეში სამჯერ იგონებს პუშკინის სიტყვებს:

„უბედურებაა სწორედ ჩვენში ჭკვიან და ნიჭიერ კაცად დაბადება.“

მსახიობი მუდამ გაიძახის:

„ჩემი შვილი ექიმი იქნება... ჩემი შვილი ინჟინერი იქნება...“

— მსახიობი?

— არასოდეს: ღმერთო გვაშორე!

ვიკითხოთ ახლა ექიმებიც. თქვენ იმათ მხოლოდ პიესებში შეხვდებით კმაყოფილს თავისს ხელობით, სტატისტიკა კი ჰმოწმობს, რომ ექიმები საშინლად ჩქარა ესალმებიან წუთისოფელს.

უთხარით აბა რომელიმე ერობის ექიმს:

— რა ბედნიერება უნდა იყოს სნეულთა და დავრდომილთა განკურნება!

— დიახ, გიპასუხებთ ექიმი, არ ვიცი რა ბედნიერება უნდა იყოს წამლებითა და აბებით ამოვსება იმ კაცის სტომაქისა, რომელსაც წამალი კი არა, პური ეჭირვება, პური! არ ვიცი რა ბედნიერება უნდა იყოს ყოველს ნაბიჯზედ თავისს თავის უძლურების გრძნობა!

ას რუს ექიმში იქნება ერთს ძლივსა სწამდეს სამკურნალო მეცნიერების შემოქმედებითი ძალა. რა ტანჯვა-წამებაა! მთელს სიცოცხლეში იმ ხელობის კაცს, რომლისადმი არც გული მიგიწევს და არცა გწამს რა მისი.

აი, ამაში გამოიხატება სამსახური ჩვენის საშუალო სასწავლებლისა. ის პატარაობიდანვე გვაჩვევს ისეთს საქმიანობას, რომლისადმიც არაფერი სიყვარული და ლტოლვილება არა გვაქვს და იძულებულნი ვართ მთელს ჩვენს სიცოცხლეში ზერე-ქვერეთ ავასრულოთ იგი.

აი, ეს არის ღირსება ჩვენის საშუალო სასწავლებლებისა. და აი ეხლა როდესაც ემზადებიან მის განახლებას, მე ვესწრაფი გამოვესარჩლო:

— ხელი არ ახლოთ ჩვენს გიმნაზიას... ამ რვა წლიანს ჯოჯოხეთს... იგი ნამდვილს მომზადებას გვაძლევს მიმავალი ცხოვრებისათვის.

კერძოთ პეტერბურგისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს საშუალო სასწავლებლებს, იმიტომ რომ იგი პატარობიდანვე ამზადებს მოხელეებს.

**ზ. ედილი.**

# საუნჯის მაძებარი

იაპონური ზღაპარი.

## I

მხიარულმა იღბლის ღმერთმა ოკამემ ირაკკოს ქერავაჟს არ გაუღიმა და, როდესაც ჰიორი ერთხელ საღამოს ჟამზედ გამოვიდა თავის მეგობრების სახლიდან, სადაც უთვალავი ფინჯანი საკი დალიეს, კოკისპირული წვიმა დაუშვა. ცხელი დღე საშინელი ჭექა-ქუხილით დასრულდა.

ახალგაზდა დაიმიომ თავისი წამოსასხამი ჩაიცვა, ხელში ქოლგა დაიჭირა და გიოგო-კაბუს მოედანთან მივიდა. აქ იყო მისი სახლი, სადაც შეეძლო თავისი მარცხი, რომელიც უფრო ზმანებას გავდა, ვიდრე სინამდვილეს, დავიწყებისთვის მიეცა და დაეძინა.

მაგრამ სასახლის კარებში შეაყენა მეთევზემ, რომელსაც საქმეებზედ გზავნიდა ხოლმე, და დაკეცილი ქაღალდი გაუწოდა.

— შენ რომ სხვაგან იყავი, ჰიორი, ერთი კაცი მოვიდა და ეს მომცა შენს გადმოსაცემად, — სთქვა მან.

ახალგაზდა დაიმიომ წარბი შეიკრა.

ეს ქაღალდი გამოეგზავნა მოურავს, რომელიც საქმეშიც და ქცევითაც დინჯი და სასტიკი იყო. ქაღალდში, როგორც ყოველთვის, ჰიორისაგან დაჟინებით ფულის თხოვნის პასუხად საყვედური და უსიამოვნო შენიშვნები უნდა წერებულიყო.

— წავიკითხავ, — სთქვა ჰიორიმ, — რადგან დღეს მთელი დღე მარცხი მდევნის, უნდა ნაღველით და შხამით სავსე ფიალა სრულიად გამოვცალო.

„ჰიორი ირაკოს ძევ,—სწერდა პატივცემული მოურავი:—მამის მემკვიდრეობას დაუზოგველად ფლანგავ; ოქრო გადასაყრელად კი არ გაჩენილა, კარგი პატრონის ხელში სარგებლობის მოსატანად გაჩენილა; რასაც დასთეს, იმას მომკი.“

— კარგი, კარგი, სულელო!—წაიბურტყუნა ჰიორიმ:—ეგ კარგად ვიცი. რაღა გინდა ჩემგან?

გადაავლო წერილს ბოლომდის თვალი და თავზარდაცემულმა წაიკითხა:

„ამიტომ ჩვენ შენი ბრძანებით გავყიდეთ შენი უკანასკნელი მიწა ოსაკა, ჰიორი, გამოგიგზავნეთ ფული და ყველაფერი გავათავეთ; შენ გაღატაკდი, მე კი, შენი მოურავი, მშრალზედ დავრჩი.“

ჰიორი გაკვირვებული იყო; უკანასკნელი სიტყვები რამდენჯერმე გადაიკითხა... როგორ? მამის დატოვებულ მიწიდან უკანასკნელი?

შეუძლებელია!

ჰიორი იგონებდა და სთვლიდა ყველაფერს, რაც ამ მოკლე ხანში გაჰყიდა. დიაღ სრული სიმართლეა. ეს მიწა, მერე ის, და ოსაკა... ერთბაშად გამოფხიზლდა და დარწმუნდა, რომ გაღატაკებულა. საფეთქლები ძალზედ უცემდა და შუბლზედ ოფლმა დაასხა. ძლიერი შთაბეჭდილება ადამიანზედ აგებულების მიხედვით მოქმედებს: ზოგს შესცივა, ზოგს დასცხება.

ჰიორის ძალზედ სცხელოდა. გამოიდარა. ხეების ტოტებში მთვარემ გამოიხედა და თითქო ჰიორის დასცინა უბედურობის გამო.

ჰიორი ერთგვარად მოხმაურე ზღვის ნაპირას დაჯდა. აზრების მოკრებას სცდილობდა. უბედურობა აუწერელი და მოულოდნელი იყო. რით უშველოს საქმეს?

უცბად დაიმიომ გაიღიმა.

— ჰე!—სთქვა მან:—მე გაღატაკებული ვარ, მაგრამ ჩემი მშვენიერი და ლამაზი ქვრივი მეზობელი ნიკო-სუმა ხომ გამომყვება ცოლად? მდიდარია და ვუყვარვარ კიდეც. რას შეადგენს მისთვის რამდენიმე ათასი ოქრო?

მოატანინა საწერ-კალამი და ქაღალდი და ნიკო-სუმას შემდეგი მისწერა:

„ოჰ, მზეზედ მშვენიერო ნიკო! შენი საყვარელი ჰიორი უბედურებაშია. მაგრამ მწუხარების დროსაც მარტო შენზედ ფიქრობს; ფულს მისთვის არაფერი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან შენ უყვარხარ“.

თავის ძვირფას წერილის შინაარსით კმაყოფილმა უბრძანა მსახურს დანიშნულებისამებრ განთიადისას მიეტანა. თითონ-კი დაწვა და დაიძინა.

II

ნიკო წარბებს ისწორებდა სარკეში, როდესაც წერილი მიართვეს. წერილი რომ წაიკითხა, სახეზედ ზიზღი გამოეხატა. რამდენსამე წამს ფიქრობდა, შემდეგ მძლავრის ხელით თავისკენ მიიწია მაგიდა და სუნნელოვანს ქაღალდზედ დასწერა:

„ცოლქმრული ცხოვრება ორთავესთვის სასიამოვნოა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც აბრეშუმით და ოქროთია გარემოცული, და რადგან გაღარიბდი, აღარ მიყვარხარ. სჯობს მარტოკამ იტანჯო. მშვიდობით, ჰიორი“.

ბოლოში დაუმატა:

„ეცადე აზამას საუნჯეების მოპოვებას; თუ ამას მამიტან, შექველია, შეგიყვარებ“.

სულ ერთია, აზამას საუნჯე მოგიპოვებია, თუ მთვარე დაგიჭერია!

მშვენიერმა ქვრივმა თავის უგულობას მწარე დაცინვაც ზედ დაუმატა.

მოხდენილად მოაწერა ხელი, შემდეგ ხელახლა მიუჯდა სარკეს და ოქროსფერ ქარვის წამალი წაისვა ბაგეებზედ.

ჰიორიმ რომ ნიკო-სუმას პასუხი მიიღო, თავის მოკვლა გარდასწყვიტა, მაგრამ მოაგონდა, რომ ამგვარი გაუსწორებელი საქმე კაცმა არ უნდა ჩაიდინოს, ვიდრე კარგა არ მოისაზრებს; ამიტომ ჰიორიმ თავის განზრახვის ასრულება შემდეგ დღისთვის გადასდო.

III

მეორე დღეს, როცა გაიღვიძა, თავის მოკვლაზედ კი არ იფიქრა, მშვენიერ ქვრივის მწარე დაცინვა გაახსენდა. „აზამას საუნჯეებით დაბრუნდიო“,—სთქვა ნიკომ. ჰიორი თვითონაც მალიმალ იმეორებდა ამ სიტყვებს, მაგრამ არასოდეს არ უფიქრია არც იმის მნიშვნელობაზედ და არც იმაზედ, თუ საიდან წარმოსდგა ეს ანდაზა.

აზამა-იამა კუნძულ გონდოს ცეცხლ-მფრქვევ მთებზედ გამოჩენილი იყო. იგი თაყვანის საცემლად ამორჩეული ადგილია და მის ფერდობებთან რამდენიმე ტაძარია აგებული. მი-



**გამოფხიზლება.**—სურათი რაეისა.

სი მწვერვალი არავის უნახავს, რადგან სარწმუნოებრივის შიშით არც ისინი ადიან, რომელთაც შეუძლიათ ასვლა. გარდა ამისა, კლდეებში პატარა ბილიკის ნასახიც არ არის, მაგრამ აქა-იქ პირდაღრენილი უფსკრულები და ზოგჯერ ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრით დაფარული მხრჩოლავი ნაპრალებია; უფრო ზემოდ კი ერთავად ღრუბლით დაფარული სწორად დაყოფილი მთის ყელია. სწორედ კარგი ადგილია ავის თვალისაგან საუნჯის დასამალავად!

საიდან წარმოსდგა ეს თქმულება? ეგებ მართლა დამალულს უჩინარს საუნჯეებზედ არის დამყარებული?

ეს თქმულება ჰიორის ხშირად სმენია; ამ საუნჯეებზედ მღეროდნენ მოხეტიალე მომღერლები, მაგრამ მას ამ სიმღერიდან არც ერთი არ ახსოვდა. რამდენადაც გაეგონა, სიმღერებში საკმაოდ დაწვრილებით იყო ყველაფერი აწერილი. შეიძლება, სიმართლეც იყო ყველა ეს. განა გარდმოცემანი, რომელიც საუკუნიდან საუკუნეში გადადის, სიმართლეზედ არ არის დამყარებული? რატომ არ შეიძლება აზამას საუნჯეებზედაც ასე იყოს? ყველა იმაზედ ლაპარაკობს, თუმცა კი არა სჯერა.

ახალგაზდა დაიმიომ შეჰკრა პატარა ბოღჩაში ის, რაც არ უნდოდა მოვალეებს ჩავარდნოდათ ხელში, და დამშვიდებული და დაიმედებული გავიდა სახლიდან, რომელსაც თავისად სთვლიდა. ის სასტიკი და უგული ნიკკო კი მაინც უყვარდა.

„ის მართალია,—ამბობდა ჰიორი:—მე მხოლოდ აზამას საუნჯეებით შემიძლიან ჩემი სახლის მოწყობა“.

კაცს ეგონებოდა, რომ მალე ჩაიგდებს აზამას საუნჯეებს ხელშიო, თუმცა არც კი იცოდა ნამდვილად, არსებობდა თუ არა ის საუნჯე.

ჰიორიმ გადასწყვიტა აზამას საუნჯეების შესახებ თქმულების მოსმენა.

დიმ. დეკანოზიშვილი.

(დასასრული იქნება)



ეძებენ ამხანაგს ფრიად სასარგებლო და მომგებიან საქმისათვის. საჭირო არ არის ცოდნა ბუხჰალტერიისა. ადრესი ტფილისის ზოგიერთ გასართობ ადგილებში.



— საკვირველია, ის უკავილი, ჩემი ნუცა გონებიდან ადარ მშორდება, მაგრად გაიდგა ფესვები ჩემს თავში.

— საკვირველი არა არის-რა, უკავილებს ძალიან უყვართ გაპოხიერებული მიწა, პატივი...



— საკვირველია, როგორა ჰგვანან თქვენი უმაწვილები თქვენს მეუღლეს, ზედ გამოჭრილი მამაა...

— ვითომ?... ჩემთვისაც საკვირველია ეს.



— აგრე არ იქნება, თქვენ როგორმე საფუძვლიანად დამიმტკიცეთ, რომ...

— ინებეთ...

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი